

პეპლები და ყვავილები: კონკურენციის შესაძლო გავლენა არჩევანზე

ოთარ სახიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა: ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი დავით თარხნიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ოთარ სახიაშვილი

7 იანვარი 2024

სარჩევი

განაცხადი.....	ii
სარჩევი	iii
რეზიუმე	iv
შესავალი.....	1
მასალა და მეთოდები	5
საკვლევი რეგიონის აღწერა.....	5
მონაცემთა შეგროვება	6
მონაცემთა ანალიზი.....	7
შედეგები	10
კვებითი ნიშების გადაფარვა	13
კვებითი ნიშების სიფართოვე	14
პრინციპულ კომპონენტთა ანალიზი.....	16
ივლევის შერჩევითობის ინდექსი	17
დისკუსია.....	19
სამადლობელი	23
ბიბლიოგრაფია	24
დანართები	29

რეზიუმე

2022-2023 წლების ზაფხულის სეზონზე დიდგორის მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე 21 სახეობის პეპლის მიერ ყვავილოვან მცენარეთა ნექტრით კვების 2374 მონაცემი შეგროვდა. მონაცემების გაანალიზების შემდგომ გამოჩნდა, (i) რომ პეპლები განსხვავდებიან კვებითი სპეციალიზაციის მიხედვით. ზოგიერთი სახეობა სპეციალისტი ან გენერალისტია, ხოლო დანარჩენი სახეობები სპეციალიზაციის დონე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მოსალოდნელი სიდიდისგან. (ii) ზოგიერთი სახეობის პეპელა უპირატესობას ანიჭებს კონკრეტული სახეობის მცენარის ნექტარს, (iii) კვებითი სპეციალიზაცია განსხვავდება რეგიონების მიხედვით, Stefanescu და Travest (2009) კვლევის შედეგებთან შედარებისას საზიარო 11 სახეობის პეპლიდან 7 სახეობის კვებითი სპეციალიზაცია განსხვავებულია.